ვანის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს სხდომის

ო ქ მ ი N5

ქ. ვანი, თავისუფლების ქ. N 65

22 თებერვალი 2019 წელი

13:00 საათი

ვანის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს სხდომას თავმჯდომარეობდა ვანის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე-გიორგი ივანიაძე;

სხდომას ესწრებოდა ვანის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს 12 წევრი:

/დანართი: 1/

საპატიო მიზეზით სხდომას არ ესწრებოდნენ: ალექსანდრე ლილუაშვილი, მამუკა ნამიჭეიშვილი, ეთერი ჭიჭინაძე, თამარ დვალიშვილი, ნიკოლოზ დვალიშვილი, გონერი მეფარიშვილი, მარინა ღვინიანიძე, გელა ჩიკვაიძე, გვანცა სიგუა, აპოლონ რამიშვილი.

ვანის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ-გიორგი ივანიაძემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრებს სხდომის დღის წესრიგი გააცნო:

დღის წესრიგი

მოისმინეს:

1. ვანის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს ღონისძიებათა 2019 წლის სტრატეგიის დამტკიცება;

   მომხს:/გიორგი ივანიაძე/

2. გენდერული საბჭოს სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული საქმიანობის დაგეგმვა 2019 წლის პირველ კვარტალში;

   მომხს:/სალომე ფახურიძე/

3. 2019 წელს დამტკიცებული სოციალური პროგრამების განხილვა გენდერულ ჭრილში;

   მომხს:/მიხეილ სვანაძე/

დაადგინეს: დღის წესრიგი მიღებულ იქნა წარმოდგენილი სახით.

მოისმინეს

1. გენდერული თანასწორობის საბჭოს პირველ საკითხთან დაკავშირებით გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ გიორგი ივანიაძემ სიტყვა გადასცა გენდერული თანასწორობის საბჭოს მდივანს-სალომე ფახურიძეს, რომელმაც ვანის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს ღონისძიებათა 2019 წლის სტრატეგია მიმოიხილა და ხაზი გაუსვა გენდერულ საკითხებზე და ცნობიერების ასამაღლებელ ადგილობრივ და რეგიონულ პროექტებში საბჭოს წევრების მონაწილეობას, კვალიფიკაციის ასამაღლებელ სამუშაო შეხვედრების გამართვას,

საკანონმდებლო ინიციატივებისა და ბიუჯეტის გენდერული ანალიზის კუთხით და საბჭოს წევრების გასვლით ვიზიტებს. „აუცილებელია პირველ რიგში გენდერული საბჭოს წევრების დატრენინგება და გადამზადება, რათა თვითონ საბჭოს წევრებმა მოახდინონ სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული სამიზნე ჯგუფის დატრენინგება. გენდერული საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ-გიორგი ივანიაძემ გამოთქვა მოსაზრება, რომ „აუცილებელია გენდერული საბჭოს წევრების დატრენინგება და გადამზადება გენდერული ბიუჯეტირების ზოგად არსზე და ამ კუთხით საერთაშორისო დონეზე არსებულ პრაქტიკაზე, საქართველოში არსებულ გენდერულ ბიუჯეტირებასა გენდერული მნიშვნელობის ინდექსზე ტრენინგების ჩატარების მიზნით კვალიფიციური ორგანიზაციის მოწვევა, რასაც დაეთანხმა საბჭო.

გენდერული საბჭოს წევრებმა შესაბამის არასამთავრობო ორგანიზაციასთან თანამშრომლობის გზებზე ისაუბრეს გენდერული საბჭოს წევრმა-ნათია ძოძუაშვილმა კი აღნიშნა, რომ „თანამშრომლობის ყველაზე ეფექტური გზა კვალიფიციურ არასამთავრობო ორგანიზაციასთან მემორანდუმის გაფორმებაა, რომელიც გენდერულ საკითხებში გამოცდილების გაზიარების თვალსაზრისით აუცილებელ პირობას წარმოადგენს“.

გენდერული საბჭოს წევრმა-ივანე მამფორიამ კი არასამთავრობო ორგანიზაცია „ქალთა საკონსულტაციო ცენტრის“ მიერ ორგანიზებულ ტრენინგებზე წარმოდგენილ საკითხებს შეეხო, რომელიც ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის პროგრამებისა და პროექტების გენდერულ ჭრილში განხილვას, მუნიციპალიტეტის მიერ შემუშავებულ გენდერულ თანასწორობაზე ორიენტირებული პროგრამების განხორციელების აუცილებლობას, ინფრასტრუქტურული პროგრამების განხორციელებისას აქცენტი უნდა გაკეთდეს ტროტუარების მოწყობაზე პირველ რიგში ქალაქში. გენდერული საბჭოს წევრმა-ნათია ძოძუაშვილმა კი გამოთქვა მოსაზრება, რომ მუნიციპალიტეტის მასშტაბით აუცილებელია ლიდერი ქალების გამოვლენა და მათთან ერთად კოორდინირებული მუშაობის საფუძველზე სხვადასხვა ადმინისტრაციულ ერთეულებში ადგილობრივი საჭიროებების გამოვლენა: „აუცილებელია თითოეულ სოფელში და თემში 3 ლიდერი ქალის გამოკვეთა, ამ მიზნით კი უნდა მივმართოთ მერის წარმომადგენლებს, რომლებიც შერჩევის პროცესში ჩაერთვებიან და დახმარებას გაგვიწევენ აგრეთვე ადგილზე მოსახლეობასთან

შეხვედრების ორგანიზებაში. სხდომის თავმჯდომარემ იდეა მოიწონა და აღნიშნა, რომ „ამ პროცესებში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დეპუტატების ჩართულობა, რაც ადგილობრივი საჭიროებების გამოვლენის და საორგანიზაციო საკითხების მოგვარების კუთხით კიდევ უფრო მეტ ეფექტურ შედეგს გამოიღებს“

საბჭომ განიხილა პირველი საკითხი და კენჭი უყარეს.

მომხრე-12

წინააღმდეგი - არცერთი

დაადგინეს:

1. დამტკიცდეს ვანის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს ღონისძიებათა 2019 წლის სტრატეგია დამტკიცება თანდართულის სახით.

/დანართი N2/

მოისმინეს

2. გენდერული თანასწორობის საბჭოს მეორე საკითხთან დაკავშირებით გენდერული თანასწორობის საბჭოს მდივანმა-სალომე ფახურიძემ გამოთქვა მოსაზრება, რომ „მოახლოვებულ ქალთა საერთაშორისო დღეების აღსანიშნავად გენდერული საბჭო ვალდებულია ორგანიზება გაუწიოს სიმბოლურ ღონისძიებებს, ასევე მუნიციპალიტეტის მასშტაბით გამოვლენილ იქნას ქალები შემდეგ ნომინაციაში:

1. ყველაზე წარმატებული ფერმერი ქალი;
2. ყველზე მრავალშვილიანი დედა;
3. ყველაზე უხუცესი ქალი.

საბჭოს წევრებმა მოიწონეს იდეა, თუმცა ნომინაციასთან დაკავშირებით აზრთა სხვადასხვაობა გამოითქვა, საბჭოს წევრებმა ხაზი გაუსვეს შერჩევის კრიტერიუმებს. გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრმა-თამაზი თავაძემ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ნომინაციის შერჩევის დროს მაქსიმალურად უნდა გამოირიცხოს სუბიექტურობა და შესაბამისად უნდა შეირჩეს ისეთი კრიტერიუმები, რომელიც ყველაზე ამომწურავად პასუხობდეს ნომინაციას. გენდერული საბჭოს წევრმა-ნატო დვალიშვილმა კი აღნიშნა, რომ ვინაიდან გენდერული საბჭოს გადაწყვეტილებას სარეკომენდაციო ხასიათისაა მივმართოთ ხელმძღვანელობას, რათა შესაძლებლობის ფარგლებში ნომინაციაში გამოვლენილ ქალებს გადაეცეთ სიმბოლური საჩუქრები, რასაც ერთხმად დაეთანხმა საბჭო. მსჯელობის შემდეგ საბჭოს წევრები საბოლოოდ შეჯერდნენ შემდეგ ნომინაციებზე:

1. ყველაზე წარმატებული ფერმერი ქალი;
2. ყველაზე მრავალშვილიანი დედა;
3. უხუცესი პედაგოგი ქალი;
4. უხუცესი ჯანდაცვის სფეროს წარმომადგენელი ქალი.

გენდერული საბჭოს წევრმა-თამარ ძნელაძემ აღნიშნა რომ „ჩვენი ორგანიზაცია ქალთა საერთაშორისო დღის აღსანიშნავად პედაგოგებისთვის ტრადიციულად ვატარებთ ღონისძიებას და გამოვხატავთ სრულ მზადყოფნას ნომინაციაში „ყველაზე უხუცეს პედაგოგ ქალს“ გადავცეთ სიმბოლური საჩუქარი.

საბჭომ განიხილა მეორე საკითხი და კენჭი უყარეს.

მომხრე-12

წინააღმდეგი - არცერთი

დაადგინეს:

2. გენდერული საბჭოს სამოქმედო გეგმის გათვალისწინებული საქმიანობის დაგეგმვა 2019 წლის პირველ კვარტალში;

მოისმინეს

3. გენდერული საბჭოს მესამე საკითხთან დაკავშირებით გენდერული საბჭოს წევრმა-მიხეილ სვანაძემ აღნიშნა, რომ „2019 წელს დავამტკიცეთ 16 სოციალური პროგრამა, მათი ასახვა მოვახდინეთ გენდერულ ჭრილში. უნდა აღინიშნოს, რომ ახალშობილების პროგრამაში ჩანაწერი, რომლის მიხედვითაც „სავალდებულოა ახალშობილის მამა (მამის გარდაცვალების ან არყოფნის შემთხვევაში-დედა) ახალშობილის დაბადებამდე არაუგვიანეს 180-ე დღიდან განცხადების შემოტანამდე უწყვეტად იყოს რეგისტრირებული ვანის მუნიციპალიტეტში". თუმცა მთავრობის მითითების საფუძველზე გავითვალისწინეთ და ჩანაწერი „ახალშობილის მამა" შევცვალეთ „ახალშობილის ერთ-ერთი მშობლით". გენდერული ბალანსის დაცვის მიზნით იგივე ცვლილება უნდა შევიტანოთ მრავალშვილიანების პროგრამაშიც, რომლის მიხედვითაც სავალდებულოა არასრულწლოვანის მამა (მამის გარდაცვალების ან არყოფნის შემთხვევაში-დედა) და არასრულწლოვანი შვილები დახმარების მოთხოვნამდე ბოლო ერთი წლის განმავლობაში (ახალშობილის შემთხვევაში, დაბადების მომენტიდან დახმარების მოთხოვნამდე) უწყვეტად იყვნენ რეგისტრირებულნი ვანის მუნიციპალიტეტში.

ასევე მნიშვნელოვანია „ძალადობის მსხვერპლთა დახმარების პროგრამა", რომელიც ითვალისწინებს „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად მოქალაქეზე (მსხვერპლზე), რომლის უფლებები დაირღვა და სტატუსი განუსაზღვრა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისმა სამსახურმა, სასამართლო ორგანომ ან/და გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორის კომისიასთან არსებულმა ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის მსხვერპლის სტატუსის განმსაზღვრელმა-მსხვერპლის იდენტიფიცირების ჯგუფმა, ერთჯერადად ფინანსური დახმარების გაწევას.

განსახორციელებელი ღონისძიებები:

მოქალაქეთა განცხადებების განხილვა, დახმარების გაწევის მიზანშეწონილობის განსაზღვრა და ბენეფიციართათვის ერთჯერადი ფინანსური დახმარების გაწევა 200 ორასი ლარის ოდენობის.

დახმარების მიღების აუცილებელი პირობა;

სავალდებულოა ბენეფიციარი ძალადობის მსხვერპლად აღიარების და განცხადების შემოტანის მომენტში რეგისტრირებული იყოს ვანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე.

დახმარების მიღების მოთხოვნის უფლება აქვს ბენეფიციარს ან მისი ოჯახის წევრს (ასეთის არსებობის შემთხვევაში, მის მეურვეს ან კანონიერ წარმომადგენელს)

ასევე მნიშვნელოვანია უსახლკაროთა დახმარების პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს ვანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკარო პირთა რეგისტრაციისა და მათი დროებითი საცხოვრისით უზრუნველყოფის წესი"-ს საფუძველზე რეგისტრირებული პირების/ოჯახების ბინის ქირით უზრუნველყოფას.

/დანართი 2: ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება N127/

საბჭომ განიხილა მესამე საკითხი და კენჭი უყარეს.

მომხრე-12

წინააღმდეგი - არცერთი

დაადგინეს:

4. 2019 წელს დამტკიცებული სოციალური პროგრამების განხილვა გენდერულ ჭრილში;

საკითხების ამოწურვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ-გიორგი ივანიაძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

ვანის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე

გიორგი ივანიაძე ----------

ვანის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარის მდივანი

სალომე ფახურიძე ----------

22.02.2019 წ.

ვანის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრების

N5 სხდომაზე დასწრების ფურცელი

N	წევრების სახელი და გვარი	ხელმოწერა	სხდომის ჩატარების თარიღი
1	ალექსანდრე ლილუაშვილი		22.02. 2019 წ.
2	გიორგი ივანიაძე		
3	ეთერი ჭიჭინაძე		
4	თამარ შენგელია		
5	თამარ დვალიშვილი		
6	ნიკოლოზ დვალიშვილი		
7	გონერი მეფარიშვილი		
8	მარინა ღვინიანიძე		
9	ნათია ძოძუაშვილი		
10	გელა ჩიკვაიძე		
11	სალომე ფახურიძე		
12	თამარ ძნელაძე		
13	მამუკა ნამიჭეიშვილი		
14	მიხეილ სვანაძე		
15	გვანცა სიგუა		
16	თამაზი თავაძე		
17	ივანე მამფორია		
18	ლელა ჩიკვაიძე		

19	ტარიელ ბარამიძე		
20	ნანა ლილუაშვილი		
21	აპოლონ რამიშვილი		
22	ნატო დვალიშვილი		